ახალი საქართველო

№ 3 (2)
Berlin, 15. Februar 1925

პერიოდიული ორგანო გ. ვეშაპელის რედაქციით
Georgische Zeitschrift „Das Neue Georgien“. — Redakteur G. Weschapeli.

Preis 50 Pfennig.

უკანასკნელი ამბები

12 თებერვალს ბერლინში შესდგა საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კოლონიის კრება.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ა. დევდარიანი და მდივნად ლ. კიკაბიძე.

მოსმენილ იქნა ექიმ აბაკელიას მოხსენება საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის შესახებ ჯანმრთელობის დარგში.

შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქნა წესდების პროექტი და მოხდა საბოლოოდ გამგეობისა და სარევიზ. კომისიის არჩევნები.

გამგეობაში არჩეული არიან: თავმჯდომარედ: მ. შანიძე, წევრებად: ა. მეტრეველი და ა. დევდარიანი, კანდიდატებათ: რ. ნიჟარაძე და მ. წულეისკირი. სარევიზიო კომისიაში: ჟიჟიანი, ჟანდარელი და მასხულია.



საბჭოთა საქართველოს შეადგენს რესპუბლიკები
მოკავშირე—აბხაზეთი
ავტონომიური—აჭარა
ავტონომიური-ოლქი-სამხრეთ-ოსეთი და
16 მაზრა
სვანეთის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ლეჩხუმის, ქუთაისის რაჭის, შორაპნის, ახალციხის, გორის, ახალქალაქის, დუშეთის, თიანეთის, თბილისის, ბორჩალოს, თელავის, სიღნაღის.

საფრანგეთის სოციალისტები და საქართველო

„შეიძლება ფრანგული თავაზიანობის გამო სალიკვიდაციო პროცესი ძველი მენშევიკური ელჩის და ლეგაციისა უფრო გაჭიანურდეს, ვიდრე ეს მოხდა თავის დროზე გერმანიაში, მაგრამ იურიდიულად ეს, რასაკვირველია, საფრანგეთშიც ისე მოხდება, როგორც გერმანიაში მოხდა“.

ასე ვწერდით „ახალ საქართველოს“ მეორე ნომერში, და ეს გამართლდა.

საფრანგეთის სოციალისტებმა მეტი თავაზიანობა გამოიჩინეს ვიდრე გამოიჩინა თავის დროზე მათმა გერმანელმა ამხანაგებმა.

საგარეო სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს, საფრანგეთის სოციალისტების ერთმა ლიდერმა რენოდელმა ცხარე სიტყვა სთქვა, სადაც დაასაბუთა საქართველოს საკითხი ოფიციალურ მენშევიკური თვალსაზრისით. მან მოაგონა საფრანგეთის მთავრობას ვალდებულება de jure - თ ნაცნობ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართ. რენოდელი შეეხო სხვათაშორის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა ცნობილ დეკლარაციას და დაიწყუნა იგი: „ინტელიგენცია ყოველთვის გამარჯვებულს უჭერს მხარსო“.

თვით საგარეო კომისიის მომხსენებელიც ანრი სიმონი შეეხო ამ საკითხს და სთქვა: „ვინაიდან საბჭოთა კავშირი იმ ტერიტორიაზეა ცნობილი, რომელიც მის ხელისუფლებას ემორჩილება, ამიტომ საქართველოს საკითხი ცალკეა დატოვებულიო“.

თუმცა კონკრეტული წინადადება არც ა. სიმონს და არც რენოდელს არ შეუტანიათ, მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობის თავმჯდომარე ბ. ერიო შეეხებოდა საქართველოს საკითხს და განმარტავდა პირდაპირ მთავრობის შეხედულებას; მაგრამ ერიომ არჩია „თქმითაც დაშავდების“ და თავის უშველებელ საბოლოო სიტყვაში კრინტიც კი არ დასძრა საქართველოს შესახებ. თითქოს დეპუტატები - პარლამენტი უპასუხიმგებლოდ პლატონიურად ლაპარაკობენ; მთავრობისა და პრეზიდენტის პოლიტიკური აქტი კი რჩება — კრასინის ელჩად მიღება რუსეთ - უკრაინა - ბელორუსეთ - ამიერ - კავკასიის უნიონის სახელით.

ერთად ერთი კრინტი, რომელიც დაძრა ედუარდ ერიომ, ეს იყო მისი ღიმილი, როცა კომუნისტი ბ. კაშენი საბჭოთა საქართველოს დასაცავ სიტყვას ამბობდა და ბუნდოვანი რეპლიკა „იმპერიალიზმის“ შესახებ.

ასეთ „სიფრთხილეს თავი არ ატკივდება“ არც ჩვენ (და ალბად არც მენშევიკები) არ მოველოდით ბ-ნ ერიოსაგან ვინაიდან საერთოდ ფრანგების ეროვნული თვისება გულაზდილობა არის („soyons francs“).

მენშევიკებს, როცა რენოდელს ლაპარაკი სთხოვეს, ალბად ახსოვდათ ბატონ ერიოს ოპოზიციაში ყოფნის დროს დაწერილი წერილები.

მაგრამ ოპოზიციაში ყოფნა სხვაა და მთავრობის თავჯდომარეობა კიდევ სხვაა.

ედუარდ ერიოს მაგიერ საქართველოს საკითხი განმარტა მისმა ელჩმა ერბეტმა - მოსკოვში. მან განაცხადა: „ვინაიდან საფრანგეთმა იცნო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, ამითვე მან იცნო ყველა ის საბჭოთა რესპუბლიკები, რომელნიც ამ კავშირს შეადგენენო; საელჩო რწმუნება, სთქვა ერბეტმა, მე ჩავაბარე კალინინს, არა როგორც რუსეთის რესპუბლიკის, არამედ როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მთელი უნიონის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს და ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი მოსკოვში დაესწრო კიდეც ამ ცერემონიასო“.

ამ გვარად გამოირკვა, რომ რენოდელის მიერ აძრული საკითხი გადაწყვეტილია.

მაგრამ ჩვენ მაინც საგანგებოდ ვეხებით მას და აი რატომ: ეს პლატონიური და კონკრეტულ დასკვნებს მოკლებული, რომ მეტი არა ვთქვათ, ლაპარაკი ფრანგ სოციალისტებისა საქართველოს შესახებ, სახიფათოა, ვინაიდან იგი ძველ ილუზიებს აღვივებს თითქოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის რესტავრაციის საქმე არ იყოს სამუდამოთ წაგებული. ხოლო ილიუზიებს შეიძლება მოყვეს ახალი შემცდარი აბიჯები, ზოგჯერ მომაკვდინებელიც.

გვაგონდება ერთი ფაქტი, უცნობი ფართო წრეებისათვის: 1922 წელს 20 სეკტემბერს „ნაციათა ლიგის“ პოლიტიკურ კომისიაში ბელგიელ სოციალისტმა დებრუკერმა წინადადება შეიტანა - „საქართველოს სოვეტიზაცია დაიგმოს“ მაშინ ინგლისელმა დელეგატმა ლორდმა პარმურმა სთქვა: „დამუქრება კარგი რამაა, თუ შესაფერი ზალის თან მიყოლებაც შეიძლება . . . ; ხოლო ისე დემონსტრატიული რეზოლუციების გამოტანით შეიძლება ქართველ ხალხს ყალბი იმედები დაუბადოთ ჩვენი ჩარევის შესახებ . . . და მაშინ რამე რომ მოხდეს პასუხის გება ჩვენი იქნებაო“ . . . ლორდმა სესილმა, მეორე ინგლისელმა დელეგატმა კი პირდაპირ სთქვა: „ასეთი რეზოლუციებით აჯანყების პროვოკაცია შეიძლებაო . . . “

ასე ფრთხილად ლაპარაკობენ კონსერვატორები, სოციალისტები კი (ინგლისელები და ფრანგებიც) სხვა ტაკტიკას ადგიან: ისინი იმუქრებიან და აქეზებენ თუმც იციან საქმეში რეალურად ჩარევა არ შეუძლიათ. ეს სისტემატიური დანაშაულია, რომელსაც ჩადიოდენ და ჩადიან დღესაც საქართველოში ნაქეიფარი ევროპელი სოციალისტები (გუშინ მაკ-დონალდი, დღეს რენოდელი).

განსაკუთრებით დანაშაულში არიან საფრანგეთის სოციალისტები, რომელთაც საქართველოს საკითხი გადააქციეს ფრანგ კომუნისტებთან ანგარიშ გასასწორებელ საგნად; როგორც „Temps“-ი წერდა (აჯანყების დროს) საფრანგეთის სოციალისტები საქართველოს საკითხით ჯინს იყრიან კომუნისტებზე: ერთის მხრივ სოციალისტები იძულებულნი გახდენ მოეთხოვათ საბჭოთა რუსეთის და მთელი ფედერაციის ცნობა; მეორეს მხრივ, მათ ეშინიათ რომ ეს ცნობა აძლიერებს კომუნისტურ პარტიის გავლენას საფრანგეთის მუშათა კლასში და აი საბალანსოდ ისინი ცდილობენ საბჭოთა ცნობის ავტორიტეტის დამცირებას საქართველოს საკითხით: „ცნობით კი გიცანით, მაგრამ საქართველოს სოვეტიზაციას ვგმობთ, ბოლშევიკები იმპერიალისტებია ჩვენთან სოციალისტებთან შედარებით, ისინი უწმიდურები არიან, მუშებო არ მოტყუვდეთ, ჩვენ არ მოგვშორდეთ . . . “

აი ეს არის რენოდელის ორმაგი პოლიტიკური ბუღალტერია . . .

მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველო არ გაყვება რენოდელის ახალ პროვოკაციას დაარ გადაყვება საბოლოოდ მენშევიკების რესტავრაციას, რომლის ილიუზიამ ამდენი მსხვერპლი უკვე შეიწირა.

გრიგოლ ვეშაპელი

ნაციონალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის დეკლარაცია.

„რეალური პოლიტიკა მოითხოვს სინამდვილის დროზე გაგებას, დროზე თქმას და დროზე გაკეთებას“.
„ახალი საქართველო“ №1.

1923 წელს ოქტომბერში გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნ. დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატ. და უპარტიოთა კავშირი) კონფერენციამ დაადგინა პარტიის ლიკვიდაცია, მაგრამ აღნიშნული კონფერენციის დადგენილებები ცხოვრებაში სავსებით არ გატარებულა. მიუხედავად კონფერენციის მიერ დადგენილ პარტიის ლიკვიდაციისა, არალეგალურ ცეკას წევრების ნაწილი განაგრძობდა მუშაობას ძველი გზით, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულ და პარტიულ ძალების დარაზმვას საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა არ გაყვა ლიკვიდატორებს, ის მთლიანად იზიარებდა დარჩენილ ჯგუფის არალეგალურ პოზიციას და მთელი თავის ძალღონით მუშაობდა დასახულ მიზნით: - „საქართველოს განთავისუფლების მისაღწევად“.

საქართველოს გასაბჭოება ჩვენი პარტიის ახალგაზრდობამაც მიიღო, როგორც საქართველოს ოკუპაცია რუსის ჯარის მიერ და ის მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობაც იზიარებდა იმედებს ევროპის ჩარევისას საქართველოს საქმეებში, ემყარებოდა რა იმ ცნობებს, რომელსაც გვაწვდიდა საზღვარგარეთის ბიურო და რომელნიც თითქო შესაძლებლად ხდიდენ ამას.

აგვისტოში მომხდარი აჯანყების შემდეგ ნათელი გახდა ყველასათვის, რომ ეს იმედები ყოველ გვარ რეალურ საფუძველს იყო მოკლებული და რომ ძველი გზა ქართველ ერს ფიზიკურ განადგურების მეტს არას უქადდა. ამგვარად ცხადი გახდა, რომ ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა შეიქნა „პარიტეტულ კომიტეტის“ ყალბი ინფორმაციისა დაუნიადაგო ილიუზიების მსხვერპლი. სწორედ ამ ქართველი ერის ინტერესების ცუდათ გაგებამ და საერთაშორისო ძალთა განწყობილების ყალბმა შეფასებამ ჩვენი პარტია მიიყვანა აჯანყებამდე, რამაც დიდი უბედურება დაატეხა ქართველ ერს და შეიწირა მთელი წყება ჩვენი საუკეთესო ამხანაგებისა.

აგვისტოს აჯანყება წარმოადგენს იმ მიჯნას, რომელიც ჩვენ სამუდამოდ გვაშორებს ძველ გზას და პოლიტიკას. მომავლისათვის ჩვენ აღარავის მივცემთ ნებას ქართველ ერზე ექსპერიმენტების მოხდენისას.

ჩვენთვის უკვე გამოაშკარავდა საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავათ დიდი გაჭირვებისა და შინაურ და საგარეო ხელის შემშლელ პირობებისა, საქართველო მიდის ეროვნულ აღორძინებისაკენ და ყოველი გასული წელიწადი მაჩვენებელია საქართველოს, როგორც კულტურულ ისე ეკონომიურ ფრონტზე, ახალი პოზიციების დაპყრობისა, რაც ბოლოს და ბოლოს ყველაზე უფრო კატასტროფებს ქმნის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილე უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება სცდილობს ნამდვილ საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აყვავებას.

დღეს ჩვენ საყოველთაოდ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა არის ერთად ერთი კანონიერი მთავრობა და არა მარტო ვსცნობთ მას, არამედ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით დავდგებით ამ რეალ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზე, და მომავალში არ მივცემთ ნებას არავითარ „პარიტეტულ კომიტეტებს“ იმოქმედონ ქართველ ერის სახელით.

ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ თანამშრომლობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მივაღწევთ სასურველ პირობებს საქართველოს აღორძინებისა და განმტკიცებისათვის; ხაზს უსვამთ იმასაც, რომ ყოველი ქართველის ძალა ძვირფასია ამ ეროვნულ შემოქმედების სფეროში. ამიტომ მოუწოდებთ ჩვენ პარტიის ახალგაზრდობას დასდგეს საბჭოთა პლატფორმაზე და საქართველოს აღორძინებისათვის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას მოანდომოს მთელი თავისი ენერგია.

ამასთან გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ დემოკრატიული, ეროვნული რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა კავშირი) ახალგაზრდობის ცეკა, თავისუფლებაში დარჩენილ წევრთა სახით, ახალგაზრდათა პარტიის აქტიური ძალებთან და მაზრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა და მათთან შეთანხმების შემდეგ საბოლოოდ დაშლილად აცხადებს ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა ყოველგვარ არალეგალურ ორგანიზაციებს და მოითხოვს მათ ლიკვიდაციას.

საინიციატივო ჯგუფი:

ირაკლი რცხილაძე, გიორგი ტარასაშვილი' დათიკო ნადაშვილი, ირაკლი კიკნაძე, ლეო ახალშენაშვილი, მიხეილ კახრაძე, ალიბი მესხი.

ახალგაზრდათა ცენტრალურ კომიტეტის წევრნი:

სერაფიონ შარაბიძე, ილია ბოჭორიშვილი, ელიზბარ ჩხიკვაძე, გიორგი კახაბერი, ჯაფარიძე ნიკოლოზ, ალ გაბეხკირია.

მოწაფეთა კომიტეტის წევრნი:

ირაკლი მჭედლიშვილი, მიტო სიმჯიკაშვილი, ალ. ფაშალიშვილი.

ორგინიზაციის წევრნი!

ალ. დალაქიშვილი, ალ. ბაკურაძე, მიხეილ წერეთელი რევაზ მიქელაძე, ვლადიმერ გოგუაშვილი, ალექსი ფულარია ალექსანდრე კალანდარაშვილი, ა კახაბერი, გ. ბოჭორიშვილი ა· გარსიაშვილი, რ. ლეჟავა, ს. დავლიანიძე.

ვიზიარებ და სავსებით მხარს უჭერ დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის დეკლარაციას.

გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ყოფილ ლეგალურ ცეკას წევრი ნ. დგებუაძე.

უერთდები როგორც ახალგაზრდათა მთავვარი კომიტეტის თავმჯდომარე და პარტიის არალეგალური მთავარი კომიტეტის წევრი სიმონ ზოფერია.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
შალვა ელიავა. (მარცხნივ)

კავკასიის სამხედრო-სარევოლუციო საბჭოს ხელმძღვანელი
სერგო ორჯონიკიძე. (შუაში)

ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
მამია ორახელაშვილი. (მარჯვნივ)

საქართველოს მთავრობა

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა შემდეგი არის :

თავმჯდომარე · შალვა ელიავა
კომისარიატები არა გაერთიანებულნი ფედერატიულად:
შინაგან საქმეთა - შ. მათიკაშვილი
იუსტიციის - ი. ვარძიელი
განათლების - დ. კანდელაკი
ჯანმრთელობის - გ. კუჭაიძე
სოციალ უზრუნველყოფის - გ. ხომერიკი
მიწადმოქმედების - ა. გეგეჭკორი
უწყებანი გაერთიანებულნი (ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის რწმუნებულნი)
შრომის - მიქაძე
ფინანსთა - თედო ღლონტი
მეურნეობის საბჭო - ეოეიკაშვილი
მუშათა და გლეხთა ინსპექცია - ა. დოლიძე
საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტ. თავმჯდომარე არის მ. ცხაკაია

საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირი

მალე შესრულდება წელიწად ნახევარი, რაც საბჭოთა სტუდენტთა კავშირი დაარსდა. პირველ ხანებში ამან დიდი აღელვება გამოიწვია როგორც ემიგრანტულ წრეებში, ისე ქართველ სტუდენტთა ძველ კავშირში.

რა იყო მიზეზი ამ აღშფოთებისა?

ამაზედ იძლევა პასუხს თვით სტუდენტთა ძველი კავშირი საბჭოთა სტუდენტობის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციაში, სადაც ჩვენ ბრალსა გვდებენ დღემდი ევროპაში არსებულ მთლიან ანტიბალშევიკურ ფრონტის დარღვევაში ეს რეზოლუცია ამტკიცებს, რომ ეგრედწოდებული „ქართველ სტუდენტთა კავშირი", რომელიც თავის თავს აპოლიტიკურს უწოდებს, უსათუოთ პოლიტიკური ორგანიზაცია არის და თან ანტიბალშევიკური.

ჩვენ მიერ 'გადადგმული ნაბიჯი ისტორიულად თანდათან მართლდება და ჩვენ გვგონა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკი ამას გაუწევდა ანგარიშს. მისგან საჭირო დასკვნებს გამოიყვანდა. მაგრამ ძველი კავშირი თავისას მაინც არ იშლის და ის, ვინც ისე არ აზროვნებს, როგორც ამას მოითხოვს ზევიდან ნაკარნახევი დოგმატიზმი, მოღალატეს სახელით არის მონათლული. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ ზოგიერთი ისტორიული ფაქტები მოვიყვანოთ და გავარკვიოთ თუ ვინ არის მოღალატეს სახელწოდების ღირსი. ამით გამოვარკვევთ ჩვენ აგრეთვე ზოგიერთ პრინციპებს რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირს.

1923 წლამდე ქართველი სტუდენტობა ევროპაში წარმოადგენდა ერთ „მთლიან" ერთეულს, მაგრამ იგი იყო მთლიანი იმდენათ, რამდენათ მას ეროვნული საკითხი აკავშირებდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეროვნული საკითხის გადაჭრამ ეს „მთლიანობა" დაარღვია და სოციალურად და მსოფლმხედველობით კონგლომერატს მოაკლდა ის ძალა, რომელიც აერთებდა სულ სხვადასხვა ელემენტებს. ამიტომ ბუნებრივია დღემდი არსებულ „ანტიბალშევიკური ფრონტის" დანგრევა და დაარსება საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირისა. მაგრამ მოწინააღმდეგე ბანაკს არ აკმაყოფილებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეროვნული საკითხის გადაჭრა.

და თუ რატომ, ამის გასაგებათ აუცილებლად საჭიროა გაუკეთოთ ანალიზი სტუდენტთა ძველი კავშირის შემადგენლობას: კავშირს შეადგენენ მენშევიკური ელემენტები. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადმოსახლებული სტუდენტები და მესამე მცირერიცხოვან და უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ ისეთი ელემენტები, რომელთაც თავიანთი სოციალური მდგომარეობით გლეხურ და მუშურ წრეებთან არასოდეს კავშირი არ ქონებიათ.

ცხადია მთელი პასუხისმგებლობა კავშირის დღევანდელ პოლიტიკისათვის სოციალდემოკრატ სტუდენტებმა უნდა იკისრონ.

მაგრამ კავშირს არ შეუძლია საკუთარი პოლიტიკის წარმოება, არამედ ის არის პარტიული მენშევიკურ ბიუროდან დამოკიდებული. სანამდი სოციალდემოკრატიულ პარტიას არ შეუცვლია თავისი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მანამდე მენშევიკური სტუდენტთა კავშირი ვერ შესძლებს თავისი პოლიტიკის შეცვლას, თუ იგი რასაკვირველია კავშირს არ გასწყვეტს პარტიასთან. ეს აშკარაა

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ერთი კითხვა: აქვს თუ არა სოციალდემოკრატიას საფუძველი, თუ მივიღებთ მხედველობაში მარტო ეროვნულ საკითხს, იყოს უკმაყოფილო დღეს ჩვენში ეროვნული საკითხის გადაჭრით? პასუხი ამ კითხვაზედ არის აგრეთვე პასუხი სოციალდემოკრატულ მენშევიკურ სტუდენტთა კავშირის არსებობისა.

ობიექტიურად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ აზრის განვითარების ისტორიას იცნობს, იტყვის, რომ სოციალდემოკრატიას არა აქვს არავითარი უფლება იყოს უკმაყოფილო ქართული ეროვნული კითხვის გადაჭრით. თუ ჩვენ გავიხსენებთ სოციალდემოკრატიის მოღვაწეობას ეროვნულ საკითხში მე-90-ან წლებიდან დაწყებული 1917 წლამდის, მაშინ ადვილად დავინახავთ რამდენად ამართლებს მისი წარსული დღევანდელ მის პოზიციას.

როგორ უყურებდა ქართული მენშევიზმი ეროვნულ კითხვას?

მისთვის იყო ნაციონალური კითხვა კულტურის განვითარების კითხვათ, ერი წარმოადგენდა მისთვის კულტურულ ერთეულს. აქედან წარმოიშვა სოციალდემოკრატების ეროვნული პროგრამმა: კულტურული ავტონომია. ამან გამოიწვია ნ. ჟორდანიას და არჩილ ჯორჯაძის შეჯახება.

არც ერთი პოლიტიკური პარტია საქართველოში არ მოითხოვდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. ფედერალისტები მოითხოვდენ მხოლოდ ტერიტორიალურ ავტონომიას, ნ. ჟორდანია ხედავდა ამაში ანტირუსულ და ანტისომხურ მიმდინარეობას. ავტონომიას ის ნათლავდა არსებითად იმ მოთხოვნილებად, რომელიც კახეთის აჯანყებულმა თავადაზნაურობამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წამოაყენა. ნ. ჟორდანია ამბობდა: „ავტონომიას თხოულობს ბურჟუაზიული ინტელიგენცია, თავადაზნაურობა და სამღვდელოება" შემდეგ ამისა იგი კითხულობდა: „ქართველი ერი წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ორგანიზმს? . . . არა, არ წარმოადგენს. . . . საქართველოს ავტონომია სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს . . . ავტონომია ნიშნავს ეკონომიურ რეაქციას . . . ავტონომია ნიშნავს შოვინიზმის განვითარებას და პოლიტიკურ რეაქციას". (იხ. მისი „ნაციონ. კითხვა ჩვენში").

ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ გავიხსენოთ მენშევიკების ეროვნული იდეოლოგია.

ამ აზრს ემსახურებოდა სოციალდემოკრატია რევოლუციამდე და დღეს, როცა ადარებ წარსულს და აწმყოს, მათ შორის ხედავ უფსკრულს. ადამიანი განცვიფრებაში მოვა ასეთი მეტამორფოზით, თუ მან სხვა მიზეზები ვერ გამონახა, რომელნიც მენშევიკების დღევანდელ პოლიტიკას ახსნის.

საბჭოთა ხელისუფლება მეტ გარანტიას იძლევა ეროვნულ კულტურის გასანვითარებლად, ვინემ კულტურული ავტონომია მოგვცემდა.

რაშია საქმე? თუ ჩვენ დღეს იმაზე მეტი გვაქვს, რასაც სოციალდემოკრატია ათეულ წლების განმავლობაში მოითხოვდა, მაშ რამ გამოიწვია ეს უკმაყოფილება?

საქმე იმაშია, რომ დღევანდელ მენშევიკურ ეროვნულ პოლიტიკას სარჩულად უდევს მხოლოდ პარტიული დაკარგული სამინისტროს ძალაუფლების და ნაელჩებთა ისევ გაელჩების მოტივები. ამიტომ იცავს ასე თავგამოდებით მენშევიზმი ქართულ ეროვნულ საკითხს.

ეს არის სინამდვილე და ამას მენშევიკ სტუდენტთა კავშირი ანგარიშს არ უწევს, ის კავშირი, რომელიც სოციალდემოკრატიულ პარტიის ფილიალურ განყოფილებად უნდა ჩაითვალოს.

განა პატრიოტობა იმაში გამოიხატება, რომ პარტიულ მიზნების მისაღწევათ ეროვნული საკითხი მასალათ გამოიყენო? ასეთი პატრიოტობა ჩვენ მოწინააღმდეგე ბანაკისათვის დაგვითმია, ჩვენ ასე არ გვწამს სამშობლოს სიყვარული და ის ვინც ასე უყურებს ერის საკითხს, უფრო ღალატობს ერის ინტერესებს.

განა უდიდეს დანაშაულათ არ უნდა ჩაითვალოს საქართველოში მომხდარ აჯანყების მოწყობა? ვინ იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი ამ გამოსვლების? განა პარიზი არ ხელმძღვანელობდა ამ აჯანყებას? განა ამ აჯანყების მთელი მორალური პასუხისმგებლობა არ უნდა იკისრონ ევროპაში მყოფ ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა? და ქართველი სტუდენტობის ნაწილი კი, იმის მაგიერ, რომ გაეკიცხა აჯანყების ორგანიზატორები და გაეწყვიტათ კავშირი აჯანყების პოლიტიკასთან, კვერს უკრავს მას.

აი ეს არის ნამდვილი ღალატი ერის წინაშე.

ნოემბერში სტუდენტთა ძველი კავშირის გამგეობამ რუსულ რეაქციონურ გაზეთ „რულ"-ში წერილი მოათავსა, სადაც ჩვენს კავშირს ლანძღავს გინებით იხსენიებს და 25 დოლარათ სინდისის გამყიდველებს გვიძახის. ეს არის უშნო დემაგოგია.

ჯერ-ერთი ჩვენს კავშირში ირიცხება 70 წევრი, მაშინ როცა სტიპენდიას ღებულობს მხოლოდ 25 კაცი. აქ ფული კი არა პრინციპია გადამწყვეტი. არა სტიპენდიის საკითხმა მიიყვანა ჩვენი კავშირის წევრები საბჭოთა ხელისუფლებასთან არამედ აჯანყების პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტამ. ეს არის მეორე მთავარ საფუძველთაგანი საბჭოთა კავშირისა

ამიერ-კავკასიის სტუდენტთა კავშირის ქართული სექციის სახელით:

მირონ წულეისკირი

ქრონიკა

* საბჭოთა რესპუბლიკების მთელი კავშირის მორიგი ფედერატიული ყრილობა შესდგება თბილისში.

კავშირის ცენტრალური აღმ. კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე მოსკოვიდან თბილისში გაემგზავრა.

* დიდი ქარბუქის გამო, რომელიც მძვინვარებდა იანვრის მეორე ნახევარში მთელს საქართველოში, საბჭოთა არჩევნები ჩვენში გადაიდო და საქარ. საბჭოთა ყრილობა თებერვლის მაგიერ მარტში შესდგება.

* 6 იანვარს თბილისში დასრულდა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა, რომელმაც აღიარა რომ ამიერიდან მასწავლებლობა მთლად საბჭოთა ძალაუფლების მხარეზე სდგას. ყრილობის დროს მ. ორახელაშვილმა განაცხადა: „დაე იყოს ეს ყრილობა ისტორიული იმ მხრივ, რომ ხელისუფლება, პარტია და მასწავლებლობა მეგობრულად ხელიხელ გაწვდილნი გამოსულიყვნენ ამ ყრილობიდან საერთო საქმის მოამაგენიო".

* ალექსანდრე სვანიძე დაინიშნა საბჭოთა რესპუბლიკების მთელი კავშირის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულად დასავლეთ ევროპაში.

* პროფ. სპ. ვირსალაძე და ექიმი აბაკელია ამ ჟამად ბერლინში იმყოფებიან მივლინებით.

* თბილისში შედგა სხდომა შერეული: საბჭოთა და ოსმალეთის საგანაპირო კომისიისა, რომელმაც უნდა დააწესოს საზღვარის სწორი ხაზი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და ოსმალეთის შორის.

* 2 იანვარს მოსკოვში ქართულ კულტურის სახლში ქართული თეატრის 75 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა საღამო, შ. დადიანის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაესწრენ ა. ენუქიძე, ს. ქავთარაძე და სხვანი.

* ბაქოს ქართული დრამის სეზონი გაიხსნა 9 დეკემბერს

* ჭიათურის მახლობლად მდებარე მაცხოვრის მონასტრიდან გადმოტანილია თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმში ყველა ძვირფასი ხატები, რომელთაც 'განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ.

* ყოფილი მენშევიკები: მ. ძამაშვილი, ლ. კუპრაშვილი, ს. გვიმრაძე, პ. ხურცილავა და კ. მაქარაძე სცემენ ამ ჟამად თბილისში გაზეთ „ახალ გზას".

* იოსებ იმედაშვილმა განაახლა გამოცემა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებისა".

* მ. ადამაშვილმა-ჯავახიშვილმა დასწერა წიგნი: „კვაჭი კვაჭანტირაძე", რომელსაც გაზეთი „კომუნისტი" სცემს როგორც წლიურ დამატებას.

* ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა 2,700 ცალი ფოლადის გუთანი გერმანიაში.

* „ჩემო"-ს აგენტურის გადაცემა. რადგან ვადა ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იყო საზ. „ჩემო"-ს მიერ საზ. „ფლესსინგ"-თან, უკვე გასულია. სააგენტო, რომელიც აწარმოებდა შავი ქვის ყიდვას, ფრახტს და დაზღვევას, დროებით გადაეცა საზ. „არკოს"-ს (ლონდონში).

* „მწყემსი" მატყლის ქარხანამ მოსკოვში სარეალიზაციოთ გააგზავნა 1,000 ფუთი გაწმენდილი მატყლი.

* წარმოკავშირი ამჟამად აერთიანებს კოოპერატივების საშუალებით 25 ათას წევრს.

* ფოთი-გროზნის ნავთსადენის გეგმის შესადგენ კომისიაში შევიდენ: ნიკოლაძე, ჯუნკოვსკი და ივანესოვი.

* სამხედრო კოლეგიამ გამოსცა დ. ქარუმიძის წიგნი: „სამთო ზარბაზნის სხეული".

* ინჟინერ არჩილ მეტრეველის თაოსნობით ბერლინში განზრახულია გამოცემა ქართული სახალხო ტეხნიკური ჟურნალისა: „ოსტატი" (მუშებისა, გლეხებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ა. მეტრეველს დამზადებული აქვს დასაბეჭდათ სახელ. მძღვანელო „მატყლის ქიმიური და მეხანიკური დამუშავება", სურათებით.

ამ ჟამად ა. მეტრეველი ამზადებს სახელმძღვანელოს: „როგორ კეთდება ქაღალდი".

* შეცდომის გასწორება. წინა ნომერში დაბეჭდილი იყო რომ მ. გოგვაძე „ცეკავშირის" გამგეა; უნდა ყოფილიყო „ცეკავშირის" სტამბის გამგე.

საქართველოს პრესა.

„Заря Востока“ - ში (768) მიხ. კახიანი (მდივანი კომპარტიის თბილისის კომიტეტისა) სწერს შემდეგს ჩვენი გაზეთის შესახებ:

„ემიგრაციაში, რომელიც დღემდის მთლიანად საბჭოთა წინააღმდეგი იყო და რომელმაც შეადგინა ანტიბალშევიკური „ეროვნული ფრონტი”, გაჩნდა ჯგუფი, რომელმაც გადახედვა დაიწყო ძველი პოზიციებისა და რომელიც გულწრფელადა სცნობს საბჭოთა ძალაუფლებას. ეს არის გ. ვეშაპელის ჯგუფი, რომელიც ნაციონალ-დემოკრატთა გამოჩენილი ლიდერია და ეხლა გაზეთ „ახალ საქართველოს” სცემს. ვეშაპელი დაადგა საბჭოთა პლატფორმას და ავანტიურის სრულ უარყოფას. ეს ძალიან დამახასიათებელია. ალბად ბევრი ლაპარაკი იყო წინადაც, მაგრამ სწორედ ავანტიურამ მისცა საბაბი მენშევიკებით უკმაყოფილო ელემენტებს მოშორებოდენ მათ და დამდგარიყვნენ ახალ პლატფორმაზე. ვეშაპელის შემდეგ „მათ” ლაგერიდახ იხიზნებიან სხვა საზოგადო მოღვაწენიც: ამგვარად ჩვენს თვალწინ არის ქართული „სმენავეხელობა”.

ი. გედევანიშვილის წერილიდან.

გენერალი იოსებ გედევანიშვილი, ყოფილი წევრი დამფუძნებელ კრების სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციისა ქართული ინტელიგენციის შესახებ შემდეგსა სწერს:

„ინტელიგენციამიც ჩვენ ვხედავთ დიდს გადატეხას: აშკარად ემჩნევა აქ დაყოფის, დანაწილების პროცესი. ქართველი ინტელიგენტი, მრავალ გაკვეთილების შემდეგ ერკვევა სინამდვილეში, გონს მოდის და მზადაა მთელი თავისი წარსული საღი კრიტიკის ქვეშ გაატაროს.

გრიგოლ ვეშაპელის გამოსვლა სწორედ სიმპტომია ქართველ ინტელიგენციაში დაწყებულ პროცესისა.

ულმობელმა და მიუდგომელმა სინამდვილემ, ეტყობა, გაანგრია „ბუტიაობის” კედელი, სიყალბითსიცრუით და ავანტიურიზმით მოქსოვილი ფარდა ჩამოგლიჯა მას და თვალხილული ქართველი ინტელიგენტი სინამდვილის წინაშე დააყენა.

ჩვენ უნდა ხელი შეუწყოთ ამ პროცესის გაღრმავებას და დაჩქარებას. დღეს ჩვენთვის მარტო მშრალი ფორმალური ლოიალობა არა კმარა. სინამდვილემ დაგვარწმუნა, რომ ფორმალურ ლოიალობის ქვეშ ხშირად უბეში ქვა იმალება. არა, ვისაც ჩვენთან სვლა უნდა, უნდა მოდიოდეს წრფელი გულით, ფაქიზი გრძნობით, ვით ნამდვილი და ერთგული „თანამგზავრი”.

და ქართულ ინტელიგენციაში დაწყებული პროცესი სწორედ ასეთ „თანამგზავრებს” გამოყოფს და ჩვენც მას ხელი უნდა შეუწყოთ”. („კომუნისტი” 10-XII-24)

მენშევიკების ტაქტიკის შესახებ.

პარტუჯრედების თათბირზე მ. კახიანს ასე დაუხასიათებია მენშევიკების ძველი და ახალი გზები („კ” 28-XII):

„რაც შეეხება მენშევიკებს ანტისაბჭოთა ელემენტებს, მის შემდეგ რაც ისინი განადგურდენ გამოსვლების დროს, მათ იცვალეს მოქმედების გეზი და უნდათ ეხლა გამონახონ გზა, რომ მოტყუილებით შეძვრენ ჩვენს საბჭოთა აპარატებში და ლეგალურად დაიწყონ თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანა. ამ მხრივ სამი სახის მენშევიზმი არსებობს: ერთი სახის მენშევიზმი ეს ძველი მებრძოლი მენშევიზმია -ჟორდანია ნოე რამიშვილის სახით, რომელნიც საზღვარგარეთ იმყოფებიან „საქართველოს მთავრობის” სახელწოდებით. ამ ძველ მენშევიზმს არ სჯერა, რომ ის გამოსვლა რომელიც საქართველოში მოაწყვეს, იყო ავანტიურა. ისინი არიან ისევ ძველ გზაზე და ვინც კი უღალატებს მათ და გაბედავს ახალ პლატფორმაზე გადმოსვლას, მათ უმასპინძლდებიან რევოლვერით, - გეცოდინებთ, რომ ამ ნიადაგზე მათ სტუდენტი ყანდარელი დასჭრეს პარიზში.

არის კიდევ მეორე სახის მენშევიზმი, ეს პარიტეტული კომიტეტი გ. ანდრონიკაშვილი და სხვები. ისინი მას შემდეგ, რაც მათი მოწყობილი გამოსვლებიდან არაფერი გამოვიდა, ახალ გზას დაადგენ და ამბობენ: საბჭოთა კონსტიტუცია კარგია, ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით, მხოლოდ მოგვეცით ლეგალურად უმაობის უფლება. ეს პირველზე უფრო საშიშია, ვინაიდან აშკარად მებრძოლი მენშევიზმი უკვე განადგურდა და ლეგალურ მენშევიზმს კი შეუძლია კანონიერ გზით შეძვრეს ჩვენს საბჭოთა აპარატში და აწარმოოს თავისი მუშაობა. ამიტომ საჭირო არის სასტიკი ბრძოლა ამ ლეგალიზმის წინააღმდეგ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ გაცოცხლდეს მენშევიზმი ლეგალური, თუ არა ლეგალური გზით.

მესამე სახის მენშევიზმი - ეს არის დევდარიანიზმი - ეს არის საშუალო გზა, მიკიბულ-მოკიბული გზა. ს. დევდარიანი არც პროლეტარიატის დიქტატურას სცნობს სავსებით, არც მეორე ინტერნაციონალს ენდობა, არც მესამეს. მას უნდა ახალი გზა გამონახოს, რომ მოარიგოს კომუნისტები და მენშევიკები, შეთანხმოს ისინი კულტურულ და ეკონომიურ მუშაობის ნიადაგზე. ეს დევდარიანიზმიც არ არის მისაღები. ან პროლეტარიტის დიკტატურა და მესამე ინტერნაციონალი ან ისევ მენშევიზმი. ამიტომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა მარტო ლეგალურს — ანდრონიკაშვილის სახით, არამედ მენშევიზმს დევდარიანის სახითაც.


საქართველოში
1914-24 წ. არსებულ სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი:

ამაში ჩვენ შეგვიძლია დავისმაროთ გარდა კომუნისტებისა ის ყოფილი მენშევიკები, რომლებმაც გულწრფელად დაანებეს თავი მენშევიკურ პარტიას და ებრძვიან მას. ასეთი არის ფარნიევის ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა თავისი ყრილობა. ეხლაც სწარმოებს მუშაობა ძამანაშვილის მეთაურობით, რომელიც გულწრფელად არის მონდომილი სხვებთან ერთად ყოველგვარი კავშირი გასწყვიტოს მენშევიზმთან და გადმოვიდეს კომინტერნის დროშის ქვეშ,”

პარიტეტული კომიტეტის და გრ. ლორთქიფანიძის თეზისები.

„პარიტეტული კომიტეტის” წევრებს, რომელთაც წინად აჯანყების ავანტიურა დაგმეს, ეხლა საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის აუცილებლობაც უღიარებიათ. ეს ახალი ტაქტიკა დაუსაბუთებიათ საგანგებო თეზისებით, როგორც სოციალდემოკრატ და ნაციონალ-დემოკრატ წევრებს პარიტეტულ კომიტეტისას, ისე თვით ყოფილი მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გრ. ლორთქიფანიძეს. მოგვყავს, კახიანის გადმოცემით ზოგიერთი ამ თეზისებიდან:

პარიტეტულ კომიტეტის წევრები მეშვიდე მუხლში ამბობენ შემდეგს: „საბჭოთა კავშირის ცნობა ევროპის მიერ ნიადაგს უკარგავს საქართველოს საკითხს უცხოეთში. ამიტომ გაუქმებული უნდა იქნეს საქართველოს ხალხის ყოველგვარი წარმომადგენლობა - სახელმწიფოებრივი ხასიათის -უცხოეთში (მთავრობა, უცხოეთის ბიურო)”.

პარიტეტული კომიტეტის წევრების აზრით: „ყველამ ვინც კი გამოდის ხალხის და მისი ეკონომიური აღორძინებიდან, კავშირი უნდა გასწყვიტოს მათთან და აშკარად უნდა აღიაროს საბჭოთა კავშირის ორიენტაციის აუცილებლობა. უნდა დავშალოთ ყველა არალეგალური ორგანიზაციები რომლებიც შექმნილი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებელი ბრძოლის საწარმოებლად. ეხლა საჭიროა არა ბრძოლა და არსებული ხელის-უფლების დამხობა, არამედ თანამშრომლობა მასთან საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების ნიადაგზე”.

მენშევიკები ამბობენ, რომ ისინი უნდა სცდილობდენ რომ საქართველო შედიოდეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში უშუალოდ და არა ამიერ- კავკასიის ფედერაციის საშუალებით, იმიტომ რომ ეს გაადვილებს კავშირიდან გამოსვლას.

გრიგოლ ლორთქიფანიძის თეზისები თურმე ასეთია: „საქართველომ უნდა მოახდინოს სამხედრო მდგომარეობის ლიკვიდაცია; „კანონიერმა” ეროვნულმა მთავრობამ უნდა უარყოს საჯაროდ ძალა-უფლების პრეტენზია და საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ საბჭოთა კონსტიტუციის ლეგალურ ნიადაგზე უნდა აწარმოოს ორგანიული პოლიტიკური მუშაობა”.

ხოლო თუ ვადაზე მიდგა საქმე, მენშევიკები თურმე ასე ფიქრობენ: „შეიძლება, რომ ის ორგანიული პერიოდი, რომელშიაც შევიდა რუსეთი, აღმოჩნდეს ხანგრძლივი და გაგრძელდეს 5 - 10 და მეტი წლის განმავლობაში”.

მენშევიკების შერიგების შესახებ.

გაზეთი „კომუნისტი” (19-XII) სწერს შემდეგს სათაურით: „მავნე ილიუზია”: „დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ყოფილი ძველი მენშევიკ მუშის ამხ. ს. დოლიძის „საჭირო განმარტება”.

ამხ. დოლიძეს გულწრფელად სურს თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ამავე დროს შესაძლებლად მიაჩნია „რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგებთან შერიგება” და ამ მიზნით ის კერძოდ საჭიროდ აღიარებს „მუშათა კომისიის” გაგზავნას ევროპაში.

ამ „შერიგების სურვილს” ამხ. ს. ორჯონიკიძემ ერთ-ერთ კრებაზე უწოდა „ბავშვური გულუბრყვილობა”. ამხ. ს. დოლიძე თავის „საჭირო განმარტება”-ში არ ეთანხმება ასეთ დახასიათებას და სდგას „შერიგების” შესაძლებლობის თვალსაზრისზე.

ვინაიდან ამხ. დოლიძესავით, შეიძლება, ზოგიერთი სხვა ყოფილი მენშევიკი მუშებიც აზროვნებენ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ამ მავნე ილიუზიაზე.

თუ საზღვარ-გარედ მყოფი მენშევიკები ილაშქრებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამხ. დოლიძის აზრით ამის უმთავრესი მიზეზი, თურმე ნუ იტყვით, ყოფილა ყალბი ინფორმაცია საქართველოს სინამდვილის შესახებ. . . მაგრამ სასაცილოა, მართლა ბავშური გულუბრყვილობაა იმის თქმა, რომ ჟორდანია და კომპანია მსხვერპლი შეიქნა ყალბი ინფორმაციის. . . საჭიროა განთავისუფლება იმ ბავშური გულუბრყვილობიდან, თითქოს შესაძლებელი იყოს ერთდა იმავე დროს „გულწრფელი მუშაობა” საბჭოთა ხელისუფლებასთანაც და ჟორდანიასთან „შერიგებაც”. ეს აშკარა და გარდუვალი წიააღმდეგობაა” - ღ.

პროფ. ზ. ავალიშვილის ახალი ნაწერები.

ბიბლოგრაფიის მაგიერი.

გამოვიდა სტამბიდან პროფ. ზ. ავალიშვილის წიგნი **„Независимость Грузіи въ международной политикѣ 1918—1921 г.г Воспоминанія Очерки.“** Paris 1924.

ავტორის სახელი ცნობილი იყო რევოლუციამდის სამაგისტრო შრომით; **„Присоединеніе Грузіи къ Россіи“** (ამ შეერთებაში ბ. ავალიშვილის წინაპარნიც იღებდნენ მონაწილეობას.)

ეხლანდელ წიგნისთვის კი ავტორს სამართლიანად შეეძლო დაერქვა **„Возвращеніе Грузіи Россіи“**, რადგან მენშევიკურ საქართველოს დელეგაციებმა, რამიც ბ. ავალიშვილიმონაწილეობდა, ვერ მიაღწია ევროპაში იმ მიზანს, რა მიზანსაც მიაღწია ასი წლის წინად მეფეთა საქართველოს დელეგატებმა რუსეთში.

ბ. ავალიშვილის ახალი წიგნი ამტკიცებს, რომ ასეთი მარცხი საევროპო დელეგაციისა მისი ბრალი კი არა, არამედ მისი უხეირო შეფებისა არის.

ვინც იცის, რომ პროფ. ავალიშვილი ერუდიციით კონკურსის გარეთა სდგას ქართველ ინტელიგენტთა შორის, ხოლო კულტურით მემკვიდრეა არა მარტო ავალიშვილთა გვარის, არამედ გერმანული ტრადიციისაც, მას არ გაუკვირდება მეტად ხშირი ხმარება ნაცვალსახელისა; „მე” და „ჩემი” -ყველგან საცა საქმე თითქოს კეთდებოდა, ხოლო ყველგან საცა საქმე ფუჭდებოდა, რომ მისი უხეირო კომპანიონების სახელი გვესმის . . .

მაგრამ თვით ბ. ზ. ავალიშვილის წიგნის წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება ერთი საყვედური არ ეთქვას მის ავტორს -ესაა საყვედური პოლიტიკური - რატომ დროზე, მაშინვე, საჯაროდ არ ამხილა მან მომაკვდინებელი ცოდვანი თავისი შეფებისა, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას თუ არა, საქართველოს ოპოზიციას მაინც დაედო მათთვის ჯეროვანი მსჯავრი?

სან-რემოს კონფერენციის დასრულებისთანავე (1920 წ. როცა ავტორის აზრით გადაწყდა მენშევიკური საქართველოს საგარეო ბედი, - ბ. ავალიშვილს რომ დროზე ეთქვა, რაც სათქმელი ქონია - მაშინ შეიძლება ქართული ეროვნული ძალები დროზე ჩამოშორებოდენ მენშევიკთა ფირმას, დროზე მოსპობილიყო ის „მოწაფეობა”, რომელსაც მენშევიკები განაგრძობდენ შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე და საქართველოს პოლიტიკა დროზე ჩამდგარიყო რეალურ კალაპოტში.

მოგვყავს ეხლა ზოგიერთი აზრი საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებაზე, ამოკრეფილი ბ. ავალიშვილის მონოგრაფიიდან, რომელსაც სხვათა შორის რუსთველის ეპიგრაფი აქვს: „გასრულდა იგი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა”.

ბ. ავალიშვილი ამბობს, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დაპირდაპირება მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ბრალი იყო, რომელმაც საქართველო სრულს იზოლიაციაში მოაქცია, როგორც მოსკოვის, ისე ანგორის მიმართ. (გვ. 13) — **„Грузію довели до столкновенія съ Совѣтской Россіей“**, ამბობს კურსივით ავტორი (გვ. 12).

ბალშევიკურ და მენშევიკურ წესწყობილების შესახებ ავტორი ამბობს: „ის რაც პოლიტიკურად და სუბიექტიურად იყო ბრძოლა და გვეჩვენებოდა გადატრიალება, - ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიულად და ობიექტიურად იყო უბრალო შრომის განაწილება და ფაზათა რიგი". (გვ. 14).

თბილისისა და მოსკოვის მთავრობების შორის რომ თავიდანვე ცუდი დამოკიდებულება დამყარდა, ავტორი სთვლის სამწუხარო მოვლენად და ხსნის მას მენშევიკთა და ბალშევიკთა პარტიულ ანტაგონიზმით. (გვ. 99).

საგულისხმოა შემდეგი ფაკტი: ბ. ავალიშვილი მოგვითხრობს, რომ როცა ბ. ირაკლი წერეთელი ჩამოვიდა პარისში, მან განუცხადა საფრანგეთის სოციალისტებს: „საქართველო კვლავ დაუბრუნდება რუსეთს, თუ იქ მენშევიზმი გაიმარჯვებსო" (გვ. 190).

საზოგადოთ ბ. ავალიშვილი უბედურებად სთვლის იმ გარემოებას, რომ მენშევიკებმა საქართველო მეორე ინტერნაციონალის წილად და მესამე ინტერნაციონალთან ბრძოლის ველად გადააქციეს. . . .

სოციალდემოკრატიულ დელეგატების და მათი მადამების ეკსკურსიას საქართველოში ავტორი აფასებს როგორც მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციას (გვ. 292).

საინტერესოა, რომ ავტორს ჯერ კიდევ 1918 წელს (ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ) უწინასწარმეტყველებია „კავკასია გამოეყოფა რუსეთს და შემდეგ კვლავ დაუბრუნდება მას ფედერატიული კავშირითო" (გვ. 12).

ეხლანდელ მდგომარეობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ავტორი ასე უყურებს: „საქართველოც, ადერბეიჯანიც და სომხეთიც არსებობენ, მათი ისტორია არ დასრულებულა 1921 წელს; იგი მიმდინარეობს ახალ პირობებში" (გვ.15).

ჩვენ წინ დევს ინგლისური ჟურნალი The Asiatic Review, (ივლისის ნომერი) სადაც მოთავსებულია პროფ. ავალიშვილის რეცენზია Allen-ის წიგნზე შესახებ კავკასიის (და ბალტიკის) ახალ სახელმწიფოთა.

აქ ბ. ავალიშვილი უფრო გარკვევით აფასებს იმ „ახალ პირობებს", რომელშიაც იმყოფება დღეს საქართველო.

იგი პირდაპირ ამბობს, რომ დღევანდელი ფედერატიული ფორმა ამიერ 'კავკასიის რესპუბლიკათა და რუსეთის საბჭოთა კავშირისა - ყველაზედ უფრო ჯანსაღი (sound), ფართო (large) და ნაყოფიერი (fruitful) პოლიტიკური სქემაა, რომელიც როდისმე გამონახულა რუსეთის იმპერიისათვის. (გვ. 552.

ხოლო შემდეგ გვერდზე ავტორი დაასკვნის: „სამივე რასპუბლიკა საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი ამ ჟამად პოლიტიკურად მკვდრეთით ამდგარნი და გაღვიძებულნი არიან ახალი ცხოვრებისათვის თანამედროვე ხაზებით და faute de mieux ისინი ალბად შეხედავენ ამ მჭიდრო კავშირს რუსეთთან, როგორც უახლოეს, უკეთეს გამოსავალს (next best solution). . . ."

პროფ. ავალიშვილს ქონია აზრად დამატებით 1918-1921 წლის ქართული დიპლომატიური დოკუმენტების კრებულის გამოცემა და აგრეთვე სპეციალურად მიმოხილვა კავკასიური პოლიტიკის კითხვათა.

ვუსურვებთ ავტორს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას სამშობლო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის ჭერის ქვეშ.

საქართველოს ხელოვანთა განცხადება.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარ კომიტეტის გაფართოვებულმა სხდომამ 1924 წლის სეკტემბრის 21-ს მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა ქართულ ხელოვნებისადმი; სწრაფად და ნაყოფიერად განვითარდა სახელმწიფო გამომცემლობა, თვალსაჩინო წარმატება დაეტყო თეატრს, მწერლობას და ხელოვნების დანარჩენ დარგებს.

ქართველ ხელოვანთა კავშირი, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს პოვა შემოქმედების ფართოდ გაშლის საშუალება, მისი მუშაობის პროცესში საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივმა სისტემამ შექმნა საუკეთესო და მტკიცე ნიადაგი ეროვნული კულტურის ნაყოფიერად წარმართვისათვის. ეს შეგნება თანდათან იკაფავდა გზას ქართველ ხელოვანთა წრეებში და ბუნებრივად მყარდებოდა ხელისუფლებასა და ხელოვანთა შორის სრული კონტაკტი კულტურულ შემოქმედების საქმეში.

მაგრამ საქართველოში უკანასკნელ დღეებში უპასუხისმგებლო ჯგუფთა მიერ მოწყობილი ავანტიურული გამოსვლები მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, საფრთხეში აგდებენ კულტურულ მუშაობის მიღწევებს და ემუქრებიან მის განვითარებას.

ამიტომ სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირი, რომელიც აერთებს მწერალთა, მუსიკოსთა, მსახიობთა და მხატვართ ორგანიზაციებს, საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ იგი გადაჭრით გმობს ამ აღმაშფოთებელ ავანტიურას და მოუწოდებს ხელოვნების ყველა დარგის მუშაკთ გაათკეცებული ენერგიით განაგრძონ შემოქმედებითი მუშაობა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე.

საქართველოს ხელოვანთა კავშირს ღრმადა სწამს, რომ ერის დამოუკიდებლობის საფუძველს შეადგენს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინება, რომლის რეალურ მიღწევებს იძლევა საბჭოთა წყობილება, და რომ მხოლოდ ამ წყობილებას შეუძლია უზრუნველყოს ქართველი ერის საარსებო ინტერესები.

ამ საფუძვლის განმტკიცებას უნდა მოხმარდეს ქართველ ხელოვანთა ნიჭი, ცოდნა და ენერგია.

სრ. საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის თავმჯდომარე: კ. მაყაშვილი.

აბაშელი ალ., არაგვისპირელი შ., არაყიშვილი დ., ბარნოვი ვ., გაბაშვილი გ., გრიშაშვილი ი., დადიანი შ., ეკალაძე ია, თავაძე ს., (ღბოლი მუშა), თოიძე მ., ჯოტიტიშვილი ვ., მამალაძე შ., ნიკოლაძე ი., რუხაძე ვ., სიდამონ-ერისთავი ვ., ტუკსიშვილი ვ., ფაშალიშვილი ს., ქიაჩელი ლეო (შენგელაია), გამსახურდია კ.

უადგილობის გამო ვერ იბეჭდება ანალოგიური დეკლარაცია პარიზში არსებულ ქართველ ხელოვანთა კავშირისა, რომელსაც ხელს აწერენ სხვათა შორის მხატვრები დ. კაკაბაძე და ლ. გუდიაშვილი. ეს დეკლარაცია დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტში" 1924 წლის თებერვალში.

ივანე გომართელის განცხადება.

რევოლუცია წარმოადგენ უდიდეს ასპარეზს ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის მისი ნიჭისა, მომზადებისა, უნარიანობისა, მალ-ღონისა, სიმტკიცისა და საქმიანობის გამოსაცდელად.

მენშევიკური პარტია და მთავრობა სასტიკად და კატასტროფიულად დამარცხდენ ამ ასპარეზზე.

ამის გამო 1921 წელს მე გამოვედი პარტიიდან და მას შემდეგ სრულებით შევწყვიტე მასთან ყოველგვარი დამოკიდებულება.

იმავე დღიდან უარვყავი ყოველგვარი მოქმედება და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების წინააღმდეგ რადგანაც კარგად მქონდა გათვალისწინებული, რომ ამგვარი ბრძოლა იქნებოდა დამღუპველი ქართველი ერისათვის.

გარდახვეწილმა მთავრობამ უცხოეთში გადიტანა თავისი მოღვაწეობა და რა წარმოშვა სამწელიწად ნახევარი მუშაობის შემდეგ?

უნური, წარმოუდგენელი ავანტიურა და საშინელი გაწირვა მთელი ერისა. .

ჩემთვის აშკარაა, მაგრამ მე მინდა, რომ ყველასათვის ცხადი იყოს ახლა მაინც შემდეგი:

ერთად ერთი გზა ჩვენი ხალხის წინმსვლელობისა, წარმატებისა და კეთილდღეობისა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ჩვენი ერის ყველა კულტურული ძალები, ყოველი შეგნებული ქართველი გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად და თანხმობით იმუშაოს და იმოქმედოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ექიმი ივ. გომართელი

(„კომუნისტი" 21-IX-1924).

ტრედ-უნიონების დელეგაცია საქართველოს შესახებ.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაციამ შემდეგი განაცხადა საქართველოს შესახებ:

1. დამოუკიდებელი მენშევიკური საქართველო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან ევროპის იმპერიალისტების ინტერესები და რომლის იქით იმყოფება ბაქოს ნავთის წყაროები შეიძლება იყოს მხოლოდ სათამაშო დიდი სახელმწიფოების ხელში.

2. „დამოუკიდებელი საქართველო" მალე გახდებოდა პლაცდარმად კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიისათვის, ან შეიძლება, მონარქიული რეაკციისათვისაც კი. ასეთი „დამოუკიდებლობის" გამოცხადების ორი თვის შემდეგ გავრცელდებოდა ხმები ვრანგელის დესანტზე ან კიდევ სხვა რამეზე. შემდეგ კი ნამდვილად მოეწყობოდა საქართველოს ტერიტორიაზე კონტრ-რევოლუციონური არმია და დაიწყებოდა ომი საბჭოთა რუსეთთან. საჭირო გახდებოდა საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლის ხელმეორედ წარმოება.

3. ომის შემდგომი ევროპის ისტორია ამტკიცებს, რომ ევროპაში ნამდვილად არ არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, გარდა ეკრედიტებულ დიდი სახელმწიფოებისა,

4. მენშევიკები, შესაძლებელია პატიოსანი ხალხია, მაგრამ ისინი უეჭველად პოლიტიკურად ბეცნი არიან. ასეთი ადამიანები არა-ნაკლები საშიშნი არიან, ვიდრე უსინდისო ავანტიურისტები.

5. საბჭოთა რეჟიმი ყველაზე უფრო უზრუნველყოფს ქვეყნის დაცვას და მშვიდობიან აღორძინებას, მისი კულტურის განვითარებას. სავსებით გასაგებია ქართველი ბურჟუასიის გაბოროტება, რომელმაც დაკარგა თავისი საკუთრება. ერი მთლიანად სავსებით უზრუნველყოფილია და მას სურს მშვიდობიანობა, თავისი ცხოვრების გარდაქმნა ახალ ეკონომიურ საფუძველზე.

6. რაკი ქართულ ენას სკოლებში და ადმინისტრაციაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია, რაკი საქართველოში წიგნები და გაზეთები სამშობლო ენაზე თავისუფლად გამოდის, რაკი ყველაფერი იმისათვის კეთდება, რათა წინ იქნას წაწეული ამ ხალხის ეროვნული კულტურა, ყოველგვარი ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველი ერი სულს ღაფავს მოსკოვის უღელქვეშ, წარმოადგენს სისულელეს და გამოგონილია საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალისტურ მტრების მიერ.

7. არსად დელეგაციას არ უნახავს „დანგრეული საქართველო", რაზედაც აგრეთვე გაიძახიან საბჭოთა კავშირის მტრები. ყველგან საქართველოში სწარმოებს დიდი მუშაობა მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის და კულტურული დონის ასამაღლებლად. ამის დამამტკიცებელია ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები.

8. საუცხოვო და თავისი გრანდიოზულობით განსაცვიფრებელი დემონსტრაცია, რომლის მოწმეები ჩვენ ვიყავით გუშინ, ამტკიცებს რომ ქართველების უდიდესი უმრავლესობა შეეზარდა საბჭოთა რეჟიმს და აქტიურად უჭერს მას მხარს.

კერსელი (თავმჯდომარე). ფრედ ბრამლეი, ბენ ტილეტი, გრებერტ სმიტი, ალენ ფინდლეი, ჯონ ბრომლეი.

4 დეკემბერი 1924 წ.

სტუდენტთა წერილები

რედაქციის მიმართ.

I

მოქალაქე რედაკტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ ორგანოში შემდეგ განცხადებას:

„სამშობლოდან ევროპაში წამოვედი, რომ ცოდნა შევიძინო და უკეთ შევძლო მისი მშრომელი მასისათვის სამსახურის გაწევა. ამ ჟამად მთელი ჩემი ყურადღება არის ამ მხრივ მიპყრობილი.

მაგრამ როცა საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის „რამიშვილების" უპასუხისმგებლობა და აღვირწახსნილობა თანამემამულეთა სისხლის ნაკადულებს აყენებს, ქვეყანას საფლავებით გვივსებს და ქართველობას ფიზიკურ გაქრობასაც კი უქადის, პოლიტიკის გარეშე მყოფსაც არ შემიძლია მთელი ჩემის შეგნებით პროტესტი არ განვაცხადო ამის წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, რომ დღეს ყოველი ქართველის პატიოსან მოვალეობას შეადგენს სამშობლოში იყოს და ემსახურებოდეს მისი ერის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას.

სტუდ. ალ. ჭაბუკიანი.

პარიზი.

II

გაზეთ „ახალ საქართველო"-ს რედაქციას.

გულწრფელად ვესალმები გაზეთ „ახალ საქართველოს" გამოსვლას. სავსებით ვიზიარებ მის მიერ აღებულ გეზს და. უერთდები პარიზელ ქართველ სტუდენტთა დეკლარაციას

ღრმა პატივისცემით:

სტუდ. ბესარიონ მასხარაშვილი.

ლონდონი.

გამოვიდა პარიზში და იყიდება ყველგან

ქართული მხატვრული მონოგრაფია

დავით კაკაბაძე

პარიზი

1920—24

წლები

Druck von P. Stankiewicz' Buchdruckerei G. m. b. H., Berlin SW. 11, Bernburger Straße 14.